„ნაცების“ მორიგი პროვოკაცია, ამჯერად ოზურგეთში, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ოფისის კართან

თემურ მარშანიშვილი

ნაპრეზიტენტალის მითითებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ასრულებენ „მამალი ნაცები“, 4 ივლისს მათ მორიგი პროვოკაცია მოაწყვეს ოზურგეთში, ამჯერად ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, ახალდანიშნული პარლამენტის თავმჯდომარის, არჩილ თალაკვაძის ბიუროს ოფისის კართან. თვითმხილველთა თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა დავით მჟავანაძემ და ერთმა ახალგაზრდამ, რომელთაც თან ახლდათ გვარამიას ტელევიზიის წარმომადგენელი, ოფისის კარსა და კედლებზე საპროტესტო პლაკატები გააკრეს.

სწორედ ამ ბატონების და არა ახალგაზრდობის თქმით, როგორც ერთ-ერთი მედიასაშუალება წერს, „არჩილ თალაკვაძე ოზურგეთის სირცხვილია“.

საპროტესტო პლაკატი, როგორც კი შეამჩნია, მაშინვე ჩამოხსნა მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა ხათუნა სურგულაძემ, რომელიც ამბობს, რომ პლაკატის ჩამოხსნა მასთან არ გაუპროტესტებიათ.

მჟავანაძის პროვოკაციული ქმედების შედეგად, ბიუროს თანამშრომლები და თვით მჟავანაძე ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

მჟავანაძემ ბიუროს ხელმძღვანელ ლაშა ჭელიძეს „დამფრთხალი სირი“ (თქიომხილველთა თქმით, ჩიტი ნამდვილად არ უგულისხმია) და პარლამენტის თავმჯდომარეს მონა უწოდა, ლაშა ჭელ-იძემ კი ოფისში მივარდნილი „ნაციონალი“ არაკაცად შერაცხა.

„გურია ნიუსთან“ კომენტარში მჟავანაძე აცხადებს, რომ „...თალაკვაძეც ჩვეულებრივი მონაა, რომელიც მზადაა ნებისმიერი დავალება შეუსრულოს კრემლის წარმომადგენელს, სწორედ ეს გავაპროტესტეთ მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ოზურგეთშიც და ამის გამო თალაკვაძის ბიუროს უფროსმა არაკაცი მიწოდა. შესაბამისად მიიღო ჩემგან პასუხი...“

ლაშა ჭელიძემ ჩვენთან საუბარშიც დაადასტურა, რომ დავით მჟავანაძეს არაკაცი უწოდა: მე შემიძლია მხოლოდ კაცის საქციელზე გავაკეთო კომენტარი, ეგ კი, გავიმეორებ, არაკაცი და პროვოკატორია. აბა, რა ჰქვია ისეთ პირს, კარებზე რომ ჩუმად პლაკატს გიკრავს. საუბარში ისეთი თავშეკავებული კაციც კი ჩაერია, როგორიც გია ჯიჯიეშვილია, რომელმაც 26 მაისი და 7 ნოემბერი შეახსენა მომხდურს. უთხრა, რომ ასეთი საუბრის მორალური უფლება არ ჰქონდა. მჟავანაძეს რომ პატარა ბიჭი ახლდა, იმას ვუთხარი, საქმე არ დაეჭირა ასეთ არაკაცთან, რადგან მისგან ვერც კაცობას ისწავლის და ვერც ადამიანობას“.

თალაკვაძის ბიუროს თანამშრომლები ამბობენ, რომ ეს იყო პროვოკაცია, ერთი პირის სპექტაკლი და არა აქცია:

„ეს იყო ბინძური პროვოკაცია, ერთი პირის უნიჭო სპექტაკლი და არა აქცია. დეპუტატის ბიუროს კართან პლაკატის გასაკრავად ერთ თანაგუნდელსაც რომ ვერ მოიყვან, აქცია ჰქვია ამას?!“

გავრცელებული ინფორმაციით, რაც მოხდა, ეს მხოლოდ ჟურნალია, კინო კი მალე იქნება, რადგან სააკაშვილის „გლადიატორები“ ივანიშვილის სხვა „მონებზეც“ აპირებენ გალაშქრებას და თუ ვინმე წინ აღუდგება, ერთბაშად არ გა-----ონ, უკაცრავად, „ყურებზე ხახვი არ დაათალონ“.

ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის, ალბათ, თმენის ვალდებულებასაც. ამ უკანასკნელზე არანაკლები ვალდებულება უნდა იყოს ქვეყანაში სიმშვიდისა და წესიერების დამყარების ვალდებულება, თუ ასე არაა, ვიყოთ მაშინ ამგვარად, რადგან ნამდვილად არ ვართ „ნაცის“ პროვოკატორობითა და „ქოცის“ თმენით აშენებულ ქვეყანაზე უკეთესის ღირსი.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 27 (10320) 9 ივლისი, 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნით გურიაში შეხვედრა გაიმართა

2020 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნით გურიაში შეხვედრა გაიმართა, სადაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **ილია ბეგიაშვილმა,** რეგიონში განსახორციელები პროექტების ფონდით მომავალი წლის დასაფინანსებელი პროექტების წინასწარი პრეზენტაცია წარადგინა.

პროექტი, რომელიც ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში უნდა განხორციელდეს გარკვეულ ეტაპებს გადის, იწყება მოსახლეობასთან შეხვედრებით, მათი საჭიროებების მოსმენით და გათვალისწინებით.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, სოფლის პროგრამების მხარდაჭერაზე, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციასა და წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებაზე.

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას დაესწრნენ, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების წარმომადგენლები, მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია, რწმუნებულის მოადგილეები, საკრებულოებისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები.

რა ხდება გომისმთაზე – უკანონო მშენებლობების ბუმი და თვალშისაცემი სხვაობა მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის შესაძლებლობებს შორის

კურორტი გომისმთა მდინარე ბჟუჟის ხეობის ზემოთ ზღვის დონიდან 2100-2300 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ადგილობრივ დამსვენებლებს და ტურისტებს აქ იზიდავთ სამ-ურნალო ჰავა, ლამაზი პეიზაჟები, ჭინჭაოს ტბა და საშუალო სიმაღლის მწვერვალები. აქედან კარგად ჩანს კავკასიონის მწვერვალები და შავი ზღვის პეიზაჟები. იგი უახლოეს წლებში არა მარტო საზაფხულო, არამედ სამთო-სათხილამურო კურორტიც გახდება. პერსპექტივაში ურეკი-გომისმთის საბაგირო გზის მშენებლობაა ჩაფიქ-რებული, რაც მეტ ტურისტს მოიზიდავს გომისმთაზე.

პირველი, რაც კურორტ გომისმთაზე ამჟამად თვალშია საცემი, ეს გახლავთ ორი რეგიონის მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის შესაძლ-ებობებია, რაც კარგად არის ასახული კურორტის რუკაზე -ერთის მხრივ, ამორტიზებული და დანგრევამდე მისული ფიცრული ქოხ-მახები და მეორეს მხრივ, მეზობელი ზღვისპირა მუნიციპალიტეტის მცხოვრებლების მიერ სწრაფ ტემპში აგებული თანამედროვე კოტეჯები. მიუხედავად ბოლო წლებში კურორტის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად შესრულებული რამდენიმე პროექტისა, უკანონო მშენებლობის შეჩერება ვერ ხერხდება.

უკანონო მშენებლობები

გასულ სამშაბათს კურორტზე მიმავალთ გზაში რამდენიმე სატვირთო ავტომანქანა შეგვხდა, რომლებსაც ადრიანად აეტანათ კურორტზე სახლების მშენებლობისთვის საჭირო მასალები და უკან ბრუნდებოდნენ. იმის გამო, რომ ამ დროისათვის კურორტზე არ იყო ოზურგეთის პოლიციის წარმომადგენლობა, ისინი არავის გაუფრთხილებია.

—ბაბუას ჰქონდა სახლი აქ. ახლა მე ვაშენებ. იქ, ჩვენთან ვკითხე შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურს, რა უნდა ვქნათქო. მითხრეს დადგიო — გვითხრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებმა **ბიჭიკო ოთიაშვილმა** (ქ. ქობულეთი, რუსთაველის 140).

—წინა მწკრივში ნიაზ და გია რომანაძეების სახლებია, მენაპირეები ქათამაძე და ცხომელიძეა. შარშან დადგა სახლი ნოდარ რომანაძემ, ქვის სახლი ასლან რომანაძის ბიჭებისაა, ხოლო წითელი ფერის თუნუქით შეჭედილი სახლი ლაზიშვილებისაა — გვითხრეს მათ.

ნაფოცხვარას ქუჩაზე შარშან შემოდგომაზე აუგია ხის საკურორტო სახლი ქ. ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებ ექიმ-სტომატოლოგს გია ბალაძეს.

ნაფოცხვარას ქუჩაზე ჯანგული ჯინჭარაძის ახალი სახლი დგას. აქვეა არჩილ კონცელიძის და მირონ ჯაბნიძის ახალი კაპიტალური სახლები.

— *ძველი სახლი დავშალე და ახალს ვაკეთებთ, ეგ გვერდზე რომ არის, არ ვიცი, ვინ აშენებს* —გვითხრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავში მცხოვრებმა **გურამ ანანიძემ.**

როგორც შემდგომ გავიგეთ, მისი მეპატრონე ასევე აჭყვისთაველი სულეიმან მემარნეა.

ასეთი მაგალითების მოყვანა სხვაც შეიძლება. ამჟამად გომისმთაზე ნებრთვის გარეშე 20-25 სახლი იგება. თუნდაც ეკლესიის გორის გადაღმა, საკმაო

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიორეი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა
„მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

შეკვეთილში დასუფთავების აქცია გაიმართა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების აქცია გაიმართა. კერძოდ შეკვეთილში, დასუფთავდა როგორც სანაპირო ზოლი ასევე, მიმდებარე ტერიტორია. სამშენებლო და სხვა სახის ნარჩენის გატანა სპეციალური ტექნიკის საშუალებით განხორციელდა. ღონისძიებაში გურიის მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია, რწმუნებულის მოადგილე აკაკი შენგელია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ოსიკო თოთიბაძე, ალექსანდრე სურგულაძე და საჯარო მოხელეები მონაწილეობდნენ. „დღევანდელი აქცია არ იქნება ერთჯერადი, გვინდა, რომ მსგავსმა ღონისძიებამ პერმანენტული სახე მიიღოს, უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს და ერთად ვიზრუნოთ გარემოზე. ეს არის მნიშვნელოვანი და აუცილებელიც, რათა დამსვენებლებმა თავი რაც შეიძლება კომფორტულად იგრძნონ“ - განაცხადა **ზურაბ ნასარაიამ.**

წარმატებული აბიტურიენტების პროგრამა კვლავ გაგრძელდება



წარმატებული აბიტურიენტების დაჯილდოვების პროგრამა კვლავ გაგრძელდება. ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ გასულ ორშაბათს, ეროვნული გამოცდების დაწყებისას განაცხადა:

„ჩვენ,კვლავ განვაგრძობთ წარმატებული აბიტურიენტების დაჯილდოვების პროგრამას, რომელიც 100 %-იანი გრანტის მფლობელი სტუდენტებისთვის 3 000 ლარით, ხოლო აღმზრდელი სკოლისათვის 1 000 ლარით დაჯილდოვებას მოიცავს. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ეს ინიციატივა 2015 წლიდან მოქმედებს და ნამდვილად არის სტიმული, წახალისება ჩვენი ახალგაზრდების. ვიმედოვნებ, წელს კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა მიიღებს ამ სიკეთეს“.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ გრიგოლ მახარაძე აირჩიეს

4 ივლისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი აირჩიეს.

სხდომას საბჭოს 17 წევრიდან 14 წევრი დაესწრო.

თავმჯდომარის პოზიციაზე საბჭოს წევრებმა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ხელმძღვანელის, **გრიგოლ მახარაძის** კანდიდატურა განიხილეს, რომელმაც აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა მიიღო და არჩეულ იქნა საბჭოს თავმჯდომარედ. საბჭოს მდივანი 14-დან 13 ხმით გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ხელმძღვანელი **თამარ ღლონტი** გახდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო, რომელიც იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

საბჭოს პრინციპებია: კანონიერება, თანასწორობა, საჯაროობა, მუკერძოებლობა, კოლეგიურობა, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა.

მისი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა და მერის საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა, მოსახლეობასა და მერს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა, მერის საქმიანობის გამჭირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მერის საქმიანობაში.

საბჭო იქმნება მერის უფლებამოსილების ვადით.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა იმართება 2 თვეში ერთხელ.

გურიის რეგიონში C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა იწყება

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალურმა დირექტორმა **ამირან გამყრელიძემ,** გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას დაესწრნენ გურიის მხარის რწმუნებული ზურაბ ნასარაია, რწმუნებულის მოადგილე ქეთევან მოისწრაფეშვილი, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები, ოზურგეთის საკრებულოს წევრები, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების ხელმძღვანელები, გურიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური სამსახურების და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადგილობრივი წარმომადგენლები.

ამირან გამყრელიძემ დეტალურად ისაუბრა **C** ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის, წითელას შემთხვევების, იმუნიზაცია და კერძოდ წითელა/ წითურა /ყბაყურას (წწყ) არაგეგმიურ იმუნიზაციის, კიბოს სკრინინგის სახელმ-წიფო პროგრამის, ტყვეის შემცველობის კვლევის საკითხებზე.

შეხვედრაზე ზურაბ ნასარაიამ ისაუბრა აღნიშნული პროგრამის მნიშვნელობაზე და დასახული მიზნების მისაღწევად ადგილობრივი ხელისუფლების აქტიურ ჩართულობაზე.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია.

C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა იწყება იმერეთის, კახეთის და აჭარის რეგიონებშიც.

ევროკავშირის გაშუქება: მედიის როლი საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში

ალიონი. 4 ივლისს, სასტუმრო „ბალტიმორში“ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტმა (**GIF**) გამართა მედიაკონფერენცია თემაზე „ევროკავშირის გაშუქება: მედიის როლი საქართველოსა და ვიშეგრადის ქვეყნებში.“

კონფერენციაზე მკვლევარებმა საქართველოდან, პოლონეთიდან, სლოვაკეთიდან და ჩეხეთიდან იმსჯელეს მედიის სარედაქციო პოლიტიკაზე ევროკავშირის საკითხების გაშუქებისას და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გაზიარების პარალელურად გაანალიზეს, თუ როგორ შეუძლია მედიასა და სახელმწიფოს თანამშრომლობას გააძლიეროს სტრატეგიული კომუნიკაციები საქართველოს ევროიმტეგრაციისათვის.

„ადამიანებს სჭირდებათ სრულყოფილი და ჭეშმარიტი ინფორმაცია, რაშიც რეგიონული მედია ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორია –აღნიშნეს უცხოელმა ექსპერტებმა კონფერენციაზე.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ჩეხეთის ელჩი პეტერ მიკისკა, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი კორნელი კაკაჩია, **GIP-**ს აფილირებული ანალიტიკოსი ეკატერინე ბასილია, უფროსი ანალიტიკოსი პოლონეთის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტიდან ფილიპ პაზდერსკი, მასარიკის უნივერსიტეტის (ჩეხეთი) ასისტენტ-პროფესორი პეტრა კუხინკოვა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ხელმძღვანელი (**LOBSEC**, სლოვაკეთი) იან ციგელი.

რა ხდება გომისმთაზე –უკანონო მშენებლობების ბუმი და თვალშისაცემი სხვაობა მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსახლეობის შესაძლებლობებს შორის

ფართობია შემოღობილი, ხის ჭიშკარი აქვს და „ეზოში“ უკვე დგას რამდენიმე ახალაგებული სახლი, ხოლო კიდევ ერთის –კაპიტალურის მშენებლობა დაწყებულია.

ხარიათარის გადაღმა კი ,სადაც საგარაკო სახლების 98 პროცენტი მეზობელი მუნიციპალიტეტების მცხოვრებლებს ეკუთვნით, მრავალი ახალი „სამოსახლოა“ შემოფარგლული.

კურორტზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი **ზურაბ ჩხარტიშვილია,** რომელსაც ჯერჯერობით ოფიციალური სტატუსი არ აქვს. მისი თქმით, უკანონო მშენებლობის შესაჩერებლად მუშაობენ, ამოდის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური, მაგრამ მათი გაფრთხილებები მოკლევადიანია. მშენებლობები კვლავ

გრძელდება. ჩვენს ჩხუბს და დავიდარაბას შედეგი არ მოაქვს.

ინფრასტრუქტურა

კურორტ გომისმთაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ფიქრი გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. კურორტის განვითარების გენერალურ გეგმის შედგენაზე მაშინაც იყო საუბარი. მით უმეტეს, აქ ზაფხულში რამდენიმე ათასი დამსვენებელი ამოდიოდა.

პირველ პრობლემად გზის მოუწესრიგებლობას და სივიწროეს მიიჩნევდნენ. ტარდებოდა სარემონტო სამუშაოები, თუმცა გზა კაპიტალურად ამ რამდენიმე წლის წინ გაკეთდა („მშენებელი „გზამშენი 18“). ამჟამად ბჟუჟჰესისიდან კურორტის ცენტრამდე გზის მოასფალტების საკითხია დღის წესრიგში.

იმ დროისთვის კურორტზე დიზელ-გენერატორი საღამოს 7 საათიდან ღამის 12 საათამდე აწვდიდა ელექტროენერგიას დამსვენებლებს. 1989 წლისთვის უკვე დაწყებული იყო ბჟუჟჰესიდან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელსაც „საქმთავარ ენერგოს“ თბილისის მოძრავ-მექანიზებული კოლონა აწარმოებდა. მათ სამუშაოები 1990 წლისთვის უნდა დესრულებინათ და გომისმთის დამსვენებლებს ამ დროისთვის უნდა მიეღოთ უწყვეტი შუქი, მაგრამ გაჭიანურდა.

„პირველი, რაც გომისმთის კეთილდღეობისთვის კეთდება, ეს მაღალი ძაბვის ელექტროხაზების გაყვანა გახ-ლავთ. სამუშაოებს „საქმთავარ ენერგოს“ სპეციალური სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო ასრულებს (სამუშაოთა მწარმოებელი გურამ ბურჭულაძე) და სამუშაოები მომავალი წლისთვის დამ-თავრდება“ (გაზეთი „ალიონი“, №91, 1990 წ.). სამუშაოები კი დამთავრდა 1991 წელს, მაგრამ ქვეყანაში სხვა მდგომარეობა შეიქმნა და ავისმკეთებლებმა ხაზები ჩამოხსნეს და თურქეთის გზას გაუყენეს, ხოლო ამ ხაზის „ენერგო პრო ჯორჯიაზე“ გადაცემის შემდეგ ამ კომპანიამ 8 ელექტროგადამცემი ბოძი მოხსნა და სხვა რეგიონში გამოიყენა საჭიროებისამებრ.

2 წელია შუახევის მუნიციპალიტეტის ჭვანის ხეობიდან ჯვარიმინდორის გავლით უშუალოდ კურორტის მისადგომებემდე შუახევის მუნიციპალიტეტის დაკვეთით შპს „ქსელმშენმა“ 10-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზები გააკეთა. ამჟამად შპს „ქსელმშენი“ (უფროსი დავით ბეგოიძე, სამუშაოთა მწარმოებელი ზურაბ კიკაბიძე) 0,4 კილოვატი სიმძლავრის შიდა გაყვანილობებს ამონტაჟებს.

– ჩვენ აქ მომხმარებლამდე (მწყემსების საზაფხულო სადგომები, კურორტის გაღმა და გამოღმა ტერიტორია) ელექტროხაზების მისაყვანად 1200-მდე ბოძს დავდგამთ. ბოძები 1,5 მეტრის სიღმეში ვდგამთ. იქნება 2 ტრანსფორმატორი, ამჟამად ხარიათაღის დასახლებაში სრულდება სამუშაოები – გვითხრეს ელექტრიკოსებმა **ზურაბ გულიაშვილმა, დავ-ით გელენიძემ, მალხაზ კიკაბიძემ.**

აქ მომუშავე სპეციალისტების თქმით, 10-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზები ცუდადაა გაყვანილი, ზამთარში ხშირად იქცევა ბოძები და არა ჰგონიათ ელექტროენერგია ერთდროულად მწყემსების ათეულობით დასახლებებს და კურორტ გომისმთასაც ეყოს.

მათი აზრით, ბჟუჟჰესიდან კურორტამდე მაღალი ძაბვის ხაზები უნდა აღდგეს.

1990 წლისათვის კურორტზე წყლის შემკრები აუზი არსებობდა, მაგრამ წყლის შიდა ქსელის მოწყობა ვერ შეძლეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმჟამინდელი გამგებლის მერაბ ჭანუყვაძის ინიციატივით 2016 წელს დაიწყო გომისმთის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოებს შპს „ნდს მშენებლობა (დირექტორი ზურაბ გუგეშაშვილი) აწარმოებდა.პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 840 000 ლარი შეადგინა. წყლსადენის სათავე კურორტიდან 7,2 კილომეტრის დაშორებით „ჭინჭაოს“ ტბის მიდამოებშია, საიდანაც წყალი კურორტის 300 კუბური მეტრი მოცულობის წყლის მიმღებ რეზერვუარს მიეწოდება. წყალი საქლორეტაროში იფილტრება. სამწუხაროდ, შემდეგ კურორტის ტერიტორიაზე შიდა დაქსელვის სამუშაოები გაჭიანურდა.

სალიცავები

კურორტ გომისმთაზე ქრისტიანული ტაძრის აშენების საკითხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში დაისვა, მაგრამ მომდევნო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ეს პროცესი შეაჩერა.

2013 წლის 13 აგვისტოს, საინიციატივო ჯგუფის მიერ, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, ერთ-ერთ ბორცვზე, რომელიც შავიზღვისპირეთს გადმოჰყურებს (ზ/დ 2300 მ.) საფუძველი ჩაეყარა წინასწარმატყველ ილია თეზბიტელის სახელობის ტაძრის მშენებლობას. ამ დღეს მამა მათემ (გორდელაძე) ნაკურთხი ქვები ჩააწყო ტაძრის ბალავარში. ვახტანგ მამეიშვილის პროექტის მიხედვით ქვის მხოლოდ საძირკველია. აიგება ხის ტაძარი, რომლის სიგრძე 10,5 მეტრი, სიგანე –8,5 მეტრი, ხოლო სიმაღლე 14 მეტრი იქნება. მშენებლობის ინიციატორები თემურ ჯახვა და ზურაბ ჩხარტიშვილია. სამწუხაროდ, ტაძრის მშენებლობა ბოლო პერიოდამდე შეჩერდა. ზურაბ ჩხარტიშვილის ინფორმაციით, მშენებლობა მალე განახლდება.

ორიოდე კვირის წინ კი, ხარიათაღის ერთ-ერთი გორის თავზე ღამით, 20-მდე უცნობმა პირმა კიდევ ერთი ტაძრის მშენებლობა დაიწყეს. მათ საამისოდ არანაირი ნებართვა არ ჰქონიათ. როგორც გავიგეთ ისინი რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეები“ წევრები იყვნენ.

გომისმთაზე მხოლოდ ჯამეში აღევლინება ლოცვა. როგორც მუსლიმი მრევლის წევრმა, 81 წლის ოთარ ბერიძემ გვითხრა, ისინი იმამ ასლან დიასამიძის მიერ გამოგზავნილ წარმოადგენელს ელოდებიან. ხარიათაღის ჯამეში კვირაში 5 დღეს აღევლინება ლოცვა, ხოლო მერიაყელში –2-ჯერ.

ტურისტები

გომისმთას ამჟამად ხშირად სტუმრობენ ტურისტები. წინა წლებში ისინი ძირითადად აქ გამართულ სპორტული „ოფროუდის“ სამახავად და „გომისმთობის“ დასასწრებად ამოდიოდნენ.

ინჟინერ **მერაბ სანიკიძის** თქმით, გომისმთაზე ის დრო ბრუნდება, როგორიც მას ბავშვობაში ახსოვს. გომისმთა დღეს ცნობადია მთელს საქართველოში და ახლო ევროპის ქვეყნებში.

*–აქ კოტეჯი მიდგას. შარშან ფრანგი, სერბი, უკრაინელი, რუსი ტურისტები მსტუმრობდნენ. წელს, 2 იანვარს 6 სნ-ოუბორდისტი ამოვიყვანე. თოვლის საფარი საკმაოდ იყო და ამიტომ 11- 12 კილომეტრი ფეხით ვიარეთ. 4 დღე დარჩნენ. ძალიან მოეწონათ გომისმთის ფერდობები. შარშან სულ 120 ტურისტი მყავდა.–*გვითხრა მან.

ილია თეზბიტელის სახელობის მშენებარე ტაძრის მიდამოებში შევხდით გერმანელ ტურისტს დიაქ ფაიზოვენს. იგი ქართველ მეუღლე მართა ევგენიძესთან და მის მეგობრებთან ერთად, „ჯიპებით“ იყვნენ ამოსულები კურორტზე.

–პირველად ამოვედით. ძალიან მოგვეწონა -გვითხრეს მათ.

ფეხით მიმავალ რუს ტურისტებს, ნიჟნი ნოვგოროდელ ნატალია კოლოსაევას და ივან მინაევს ხარიათაღში ოთარ ბერიძის „დუქანთან“ შევხდით. რუსი ტურისტები შუახევის მიმართულებით მიდიოდნენ.

– მე ინგლისური ენის მასწავლებელი ვარ, იგორი კი ელექტროინჟინერია. აზერბაიჯანიდან შემოვედით საქართველოში. კახეთი მოვიარეთ ფეხით. ახლა თქვენს რეგიონში ვართ. აქ კეთილ ადამიანებს რა გამოლევს. არც საკვებზე გვაქვს პრობლემა და არც ღამის გასათევზე – გვითხრა ნატალიამ.

– 20 მისს ამოვდივართ აქ. მაღაზია მაქვს და საქონელიც მყავს. ქვევით ხიჭაურში, ტაკიძეებში ვცხოვრობთ. სამი ვაჟი მყავს, მხოლოდ ერთი დამყვება აქ. აღარ უნდათ მთაში ამოსვლა. თქვენ ახლა ნახეთ და იცით რამდენი უცხოელი ტურისტი გაივლის ჩემს დუქანთან. საკვები უნდათ –რძე, მაწონი..მაღაზიაშიც შემოდიან... – გვითხრა **ოთარ ბერიძემ.**

ბოლო წლებში აქ საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტები ამოდიან, ერთ თვეს რჩებიან და მონაწილეობას იღებენ კურორტის დასუფთავებაში. ისინი ხშირად აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს და უცხოელ ტურისტებსაც ხვდებიან. ამ დღეებში კურორტზე აღნიშნული უნივერსიტეტის ხელმძღვანელები ავიდნენ. სტუდენტები კი 15 ივლისიდან ააჟრიამულებენ მთის კურორტს.

მთის მასპინძლობა

3 წლის წინ ამ სტრიქონების ავტორი და ცნობილი პოეტი, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე დავით შემოქმედელი ერთ-ერთი აჭარელი მწყემსის საგარაკო სახლში მივედით რძის პროდუქტების შესაძენად. დიასახლისმა სახლში შეგვიპატიჟა. მაგიდა ტრადიციული აჭარული იყო. „ბორანო,“ „კაიმაღი“ (აქაური არაჟანი), მაწონი, ღუმელში გამომცხვარი პური, „ბაქლავა“... დიასახლისი ოთახიდან გავიდა. დავითი წუხდა და ხმადაბლა მეუბნეობდა, ფული ვაჩუქოთო. როგორც ჩანს დიასახლისმა გაიგონა ჩვენი საუბარი, ოთახში შემოვიდა და უხერხულობა რომ არ შექმნილიყო, ღიმილით გვითხრა – ჩვენ აქ სტუმარს საჭმელში ფულს არ ვახდევინებთო... ეს სიტყვები დღემდე მომყვება.

ამჯერად სოფელ ხაბელაშვილების მკვიდრს თამაზ ბერიძის ოჯახს ვესტუმრეთ. მისი მეუღლე ციური და მეზობელი მაყვალა ათაბაძე-ბოლქვაძე დაგვხდნენ.

მაყვალას მეუღლე რევაზ ბერიძე ცნობილი მონადირე იყო. მისი ბრძოლის შესახებ დაჭრილ დათვთან ხინოს მიდამოებში, ლეგენდასავით დღემდეა შემორჩენილი. 90-იანი წლებში კურორტ გომისმთაზე სახლების ქურდებისგან დაცვაში შეჰქონდა თავისი წვლილი.

2011 წელს გომისმთას საამყო მეცნიერი, მსოფლიოს ყველა კონტინენტის აკადემიის წევრი, ოზურგეთელი არნოლდ გეგეჭკორი ესტუმრა.

რევაზ ბერიძის ოჯახი იყო არნოლდ გეგეჭკორის მასპინძელი. სამწუხაროდ 3 წლის წინ რევაზები გარდაიცვალა...ამჯერად ბერიძეების ოჯახმაც საუცხოოდ გვიმასპინძლა.

კურორტის მცველები

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში რამდენჯერმე მოგვიწია უშუალოდ კურორტზე გომისმთის განვითარების პროექტების განხილვაში მონაწილეობის მიღება. მასპინძელი ყოველთვის კურორტის იმჟამინდელი დირექტორი დავით სადრაძე იყო. იგი ამ თანამდებობაზე 1981 წლიდან მუშაობდა. 90-იან წლების დასაწყისში მოხშირდა უნებართვო მშენებლობები. ამიტომ შეიქმნა კოოპერატივი „ნიშნარი,“ რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა.

დავით სადრაძეს საკუთარ სახლში სოფელ კვირიკეთში შევხდით:

–ძალიან კარგი ტემპი გვქონდა აღებული, 3 კილომეტრი წყლის ქსელი გავაკეთეთ. „საქენერგომ“ბჟუჟჰესიდან გომისმთამდე მაღალი ძაბვის ხაზის გაყვანის პროექტი შექმნა (პროექტის ავტორი ბათუ კანკავა). პროექტის მიზანი იყო კურორტზეც ყოფილიყო შუქი და მაღლა მთაზე მდებარე სამხედრო-სარაკეტო ბაზასაც მიწოდებოდა იგი..კურორტამდე კი იყო ამოყვანილი ქსელი, მაგრამ შემდეგ კარგად იცით, რაც მოხდა.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო და დღესაც ასეა, კურორტზე აუცილებლია ადმინისტრაციული სახლი, სადაც განთავსდებოდა კურორტის დირექცია, პოლიცია და ექიმსაც უნდა ჰქონოდა კაბინეტი...

ზურაბ ჩხარტიშვილიც ჩემს გვერდით გაიზარდა. თავისი წვლილი აქვს შეტანილი გომისმთის პატრონობის საქმეში. საუკეთესო კურორტია და დიდი პერსპექტივები აქვს, -გვითხრა **დავით სადრაძემ.**

რაც შეეხება ზურაბ ჩხარტიშვილს, იგი ძალას არ იშურებს, რომ როგორმე შეაჩეროს უნებართვო მშენებლობები, მაგრამ ეს უკვე დიდი პრობლემაა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად გადასაწყვეტი.

გაზეთი „ალიონი“ უკანონო მშენებლობის საკითხზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას დაუკავშირდა. როგორც პრესსამსახურიდან გვაცნობეს, მიმდინარეობს ამ მშენებლობათა შესწავლა, რის შემდეგაც გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

ნუგზარ ასათიანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 30 სექტემბრისა

ალიონი. ამის შესახებ ითქვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 3 ივლისის სხდომაზე, სადაც დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციისა და მერიის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ – საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

დადგენილების მიღების ვადაა არაუგვიანეს 2019 წლის 7 აგვისტო. დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარადგინონ 2019 წლის 12 ივლისამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. №1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნანა თავდუმაძე).

როგორც პროექტშია აღნიშნული, რეორგანიზაცია შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:

– ადმინისტრაციული, მონაწილეობითი დაგეგმვის და კომუნიკაციის სამსახური;

– სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახური;

– ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური;

– განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური;

– არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური;

– საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

სოციალური და ჯანდაცვის საკითხთა სამსახური შეერწყმება განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურს.

სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურს გამოეყოფა ზედამხედველობის ფუნქციები, რის შედეგად შეიქმნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური.

რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2019 წლის 30 სექტემბრისა.

სხდომაზე მხარი დაუჭირეს „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის №50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

მიიღეს დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“.

მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 3 აპრილის №11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

მიიღეს განკარგულებები „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

ცვლილებები შეიტანეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №16 განკარგულებაში „ოზ-ურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

ასევე ცვლილებებია საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №18 განკარგულებაში „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“.

მხარი დაუჭირეს განკარგულებას „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.26.42.003.001/502) ქალაქ ოზურგეთში მერაბ კოსტავას №1-ში მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 83 კვ მ ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

ასევე მხარი დაუჭირეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საერთო მაჩვენებლით ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მეექვსეა, საკრებულო კი – მეორე

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2019 წლის შედეგების თა-ნახმად, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი 25%-ია, რაც 6%-ით აღემატება 2017 წლის მაჩვენებელს. კვლევის ავტორთა თქმით, 40-ზე მეტმა მუნიციპალიტეტმა ვებ-გვერდზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მხრივ მდგომარეობა გააუმჯობესა, თუმცა, 50%-იან ზღვარს 64-დან მხოლოდ 8 მუნიციპალიტეტმა გადააჭარბა, ხოლო მუნიციპალიტეტთა 40% ვერ ცდება ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების 20%-იან ზღვარს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 61% დაფიქსირდა, რაც 14%-ით აღემატება 2017 წლის საუკეთესო მაჩვენებელს, რომელიც 47% იყო.

კვლავ პრობლემად რჩება იმ ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, რაც მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენს. თვითმმართველობები, ძირითადად, ზოგადი ტიპის ინფორმაციას აქვეყნებენ და არ ხდება ადმინისტრაციულ ხარჯებზე, მათ შორის, საწვავზე, მივლინებებზე, შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების გამოქვეყნება.

კვლევის ავტორთა ინფორმაციით, მაგალითად, სახელფასო ხარჯები გამოქვეყნებული აქვთ **ჩხოროწყუსა** და **ვანის** მუნიციალიტეტების მერიებს, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯები აქვს გამოქვეყნებული **ლაგოდეხის** მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რეკლამაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული აქვთ, მაგალითად, **ცაგერისა** და **ზუგდიდის** მუნიციპალიტეტებს, თუმცა, ჯამურად, ამგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება მუნიციპალიტეტების მიერ, პრაქტიკულად, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

როგორც ირკვევა, მერიების ნახევარზე მეტი არ აქვეყნებს მერის წლიურ ანგარიშებს, ხოლო საკრებულოს სხდომის ოქმებს მხოლოდ 29 საკრებულო აქვეყნებს, აქედან სრულყოფილად კი მხოლოდ 11 საკრებულო.

ამავე კვლევის თანახმად, მუნიციპალიტეტების 1/3 საერთოდ არ აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას საკუთარ სერვისებზე, ეს მაშინ, როცა ადგილობრივი თვითმმართველობა, პირველ რიგში, სწორედ სერვისის სრულყოფილად მიწოდებას უნდა უზრუნველყოფდეს.

მუნიციპალიტეტების რეიტინგში ქ. **ბათუმის** მუნიციპალიტეტი ლიდერობს –61%; მეორეა **ქ. რუსთავის** მუნიციპალიტეტი 58%; მესამე –**ლაგოდეხის** მუნიციპალიტეტი –56 %; მეოთხე –**ზუგდიდის** მუნიციპალიტეტი –55%; მეხუთე –**თეთრი წყაროს** მუნიციპალიტეტი –52%; **ოზურგეთის** მუნიციპალიტეტი (51%) მეექვსეა. (42 % მერია; 64% საკრებულო).

საკრებულოებს შორის 82 %-ით **ლაგოდეხი** ლიდერობს, ხოლო **ოზურგეთის** საკრებულო მეორეა –64%.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (**CTC**), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა (**IDFI**) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (**MSDC**) ერთობლივი ძალისხმევითა და ღია საზოგადოების ფონდის (**OSGF**) ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

(წყარო: **თვითმმართველობის დროა!**)

შერჩეული 15 საუკეთესოდან ოთხი ოზურგეთელია, ოთხივე გაგარინის ქუჩელი

ალიონი. პოლონეთის სოლიდარობის ფონ-დის პარტიციპაციის აკადემიამ სამოქალაქო ბიუჯეტირების ახალგამოცხადებულ კონკურსში საქართველოდან 15 მონაწილე შეარჩია, მათ შორის ოთხი ოზურგეთელია, თანაც ოთხივე გაგარინის ქუჩელი: **ნანა თავდუმაძე,** ოზურგეთის მუნიციპალი-ტეტის საკრებულოს აპარატის ხელმ-ძღვანელი, **ლევან ხინთიბიძე,** საქართველოს დემოკრა-ტიული განვითარების კავშირის უფროსი, **გიორგი კილაძე,** საქარ-თველოს პარლამენტის ეროვნუ-ლი ბიბლიოთეკის წარმომადგენელი და **ნანა სიხარულიძე,** კონკურსში გამარჯვებული.

გინესის წიგნში შესატანი ფაქტი ნამდვილად არ არის, მაგრამ საინტერესოა და საამაყოცაა.

„როგორც იცით, სამოქალაქო ბიუჯეტირება ჩვენ არასამთავრობოებთან თანამშრომლობით დავიწყეთ და ონლაინ-პლატფორმაც შევქმენით. სამოქალაქო ბიუჯეტირების საკითხებზე ფონდ „სოლიდარობის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კი, ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს შევავსეთ აპლიკაციები.. შეირჩა 6 მუნიციპალიტეტი, სადაც სამოქალაქო ბიუჯეტირება დაიწყო: მესტია, სიღნაღი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი და გორი. 15 შერჩეულ კონკურსანტს შორის ოთხი ოზურგეთელი, თანაც ოთხივე გაგარინის ქუჩელი მოვხვდით, ამ ფაქტმა არა მხოლოდ ჩვენ, არამედ კონკურსის ორგანიზატორებიც გააოცა. კიდევ ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა ის გახლდათ, რომ სწავლების პროცესში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის კვალიფიციური ტრენერებიდან ერთ-ერთმა შეარჩია ორი მონაწილე – მე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფროსი დავით მჭედლიშვილი შვეიცარიის ქალაქ კოში კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად“.

ამით თავდუმაძემ და მჭედლიშვილმა სტიპენტია მოიპოვეს, რომელსაც დაფარავს კონფერენციის ორგანიზატორები, პოლონური, უკრაინული და შვეიცარიული მხარე.

როგორც პოლონეთის სოლიდარობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ჯუსტინა კუჩუკი წერს, ამით ქალბატონ ნანას ეძლევა გამონაკლისი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში „ინსტრუმენტები ცვლილებების შექმნელთათვის“, გაუზიაროს თავისი გამოცდილება კონფერენციის მონაწილეებს და გაიღრმავოს თავისი ცოდნა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში“.

კონფერენცია შვეიცარიის ქალაქ კოში 14-18 ივლისს გაიმართება.

როგორი იქნება განახლებული კულტურისა და დასვენების პარკი ოზურგეთში

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ოზურგეთში 3 სკვერის რეაბილიტაციას განახორციელებს.

კაპიტალურად მოეწყობა კულტურისა და დასვენების, სამკუთხასა და 9 აპრილის სკვერები.

კულტურისა და დასვენების პარკი იქნება ადაპტირებული.

მასში განთავსდება ბავშვთა და სპორტული აქტივობების ბაქანი, განახლდება ამფითეატრი და პარკის ინფრასტრუქტურა.



ლეგენდები ლექსად

სიმღერა ივანე ფარეშთუხუცესზე

სახალხო გმირის ივანე ფარეშთუხუცესი-სიხარულიძე (1784-1884) ჩოხატაურელი თავადის,გურიის სამთავროს სარდალ-მოურავისა და მდივან ბეგის ,გიგო ერისთავის ყმა გახლდათ. როდესაც წამოიზარდა, მომავალი სახალხო გმირი ბატონმა ჯერ ფარეშად დაისვა,ხოლო შემდეგ ,როდესაც მან ორგანიზაციული ნიჭი გამოავლინა ფარეშუხუცესად ამაღლა.

ივანე ფარეშთუხუცესმა ერისთავის კარზე წერა-კითხვა ისწავლა და კარგი განათლება მიიღო.ყოფილა წარმოსადეგი და ჭკვიანი პიროვნება და სარდალ-მოურავი გვერდიდან არ იშორებდა .როდესაც ზემო გურიის სარდალი სალაშქროდ მიეშურებოდა თეთრი ცხენით, თურმე ივანე მას მახლობლად ყორნისფერი ცხენით გვერდზე მიყვებოდა,ოღონდ არა მხარდამხარ , არამედ რამდენადმე უკან ,მისი ცხენი სარდლის ცხენის უნაგირს არ შეიძლებოდა გასცილებოდა.

გიგო ერისთავი გურიის სამთავროს ერთ-ერთ უკანასკნელი სარდალ-მოურავი იყო.იგი 1829 წელს გარდაცვლილა. ამ დროს სამთავრო ფაქტიურად გაუქმებული იყო ფორმალურად კი იგი 1830 წელს აღესრულა.

გურიის სამთავროს რუსეთთან შეერთების შემდეგ ,როდესაც ქვეყანაში რუსის ჯარი შემოვიდა, ოსმალთა თარეშმა თვალსაჩინოდ იკლო, მაგრამ ტყვეთა მტაცებელთა სრული ალაგმვა მაინც ჭირდა. და ხალხი თავს კვლავ საკუთარი წიაღიდან გამოსული სახალხო გმირების იმედზე იყო. ამ გმირთა შორის ივანე ფარეშთუხუცსიც აღმოჩნდა. ეს მისმა მამალაძესთან დამოყვრებამ განაპირობა.ფარეშთუხუცესს ცოლად ესვა ბუღარა მამალაძის უფროსი ძმის (იესეს) მშვენიერი ასული თუთა და ამ გზით იგი მამალაძეთა რაზმის ღირსეული წევრი გახდა.

ქართულ საისტორიო მწერლობაში ივანე ფარეშთუხუცესის საინტერესო ცხოვრება პირველად პროფ.**იური სიხარულიძემ** შეისწავლა,ხოლო შემდეგ იგი გალექსა კიდეც და ამ გზით სასიმღეროდაც აქცია.ამ სიახლეს მალე გამოეხმაურა პროფესორ იური სიხარულიძის ნიჭიერი შეგირდი-მისი საყვარელი სტუდენტი შემდეგში პროფესორი **აბელ სურგულაძე**. სულ მალე იური სიხარულიძის თანაკლასელმა ვაჟა გოგოლაძემ (1926-2006) მეგობრის მშვენიერ ლექსს ჩინებული მელოდია შეუწყო და ახლადშექმნილი ,,სიმღერა ივანე ფარეშთუხუცესზე'' პროფესორ ქსენია სიხარულიძის ჩოხატაურის სახალხო ანსამბლ ,,გურიას'' რეპერტუარშიც შეატანინა. ამ გზით ეს სიმღერა ისე გახმაურდა ,რომ მან თბილისურ ანსამბლებამდეც მიაღწია და საზღვარგარეთაც დაუბრკოლებრივ გავიდა.

გასულს წლს გამოვიდა აწ.განსვებებულ პროფესორ ზაზა სიხარულიძის (ბატონი იურის ვაჟიშვილი) მონოგრაფია ,, სახალხო გმირი ივანე ფარეშთუხუცესი'', სადაც ფუნდამენტალურად არის აღწერილი ივანე ფარეშთუხუცესის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ბატონი იური სიხარულიძის ლექსს ,,სიმღერა ივანე ფარეშთუხუცესზე'' პირველად ჩოხატაურის სარაიონო გაზეთმა დაბეჭდა ,შედეგ კი იგი სხვადასხვა გამოცემებშიც აღმოჩნდა.

რადგან ეს გამოცემები კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ,ხოლო ინტერესი ივანე ფარეშთუხუცესისადმი დღესაც არაა მცირე , ამიტომ ვაქვეყნებთ ამ ლექსს :

საქართველოს მთებს და ველებს
დახვეოდა ნისლის ბადე,
მეთვრამეტე საუკუნის
შაბ-ბნელ ღამეს დავიბადე.
იქეთ ოსმალო გვარბევდა
აქეთ ბატონი მტარვალი,
ცალ ხელში თოფი გვეჭირა
ცალში თოხი და ნამგალი.
ჟამთა სიავის მნახველი
მე ვარ ერისთავის ფარეში,
მრავალტანჯული ყმის შვილი
გაზრდილი სიმწუხარეში.
მრავალი დედა მინახავს
წარტყვენილ შვილზე მტირალი,
ყოველ დილას და საღამოს
ზარი გვზევდა და გრიგალი.
ვერ მოვითმინე შეკვები
მტერთა გნიასს და ურცხვობას
სწორედ რომ ამ დროს გამოჩნდა
მამალაძეებთან მოყვრობა.
ბედმა ბუღარას შემყარა
კაციც ის იყო ნამდვილი,
ბრძოლაც უყვარდა და ლხინიც
იყო მამაცი და ზრდილი.
სად არ ვიქნევდი ხმალ-ხანჯალს
ღომის ციხეს თუ ასკანას,
ცელხლს ყრიდა ბუნჯგალ-ბუნჯგალად
ჩაქალოზი და ნალფარა.
აწ აღარ აუტირდება
ქართველ კაცს დედა მშობელი,
ცრემლიც გაქრება ღაწვებზე
აქამდე შეუშრობელი.
დაუამდება წყლულები
ვაი და ვიში გაქრება,
უშიშრად გაზრდის მამა-შვილს,
ვინ აუტირებ დედას ჩვილს.
ასკანის მთებში ვიბრძოდი
არც ჯაჯის ტბა დამრჩენია,
ბუღარას გვერით ვიდექი,
შუა ღამით თუ გამთენიას.
ას წელს ვიცოცხლე ბატონის
თვალის დაფსებას მოვესწარ,
ოსმალოც გადაიკარგა
გზა გადუკეტეს გარეწარს.
ჩვენი დროი მძიმე იყო
ბევრი ვიტანჯეთ მამებმა,
თქვენ გაიხარეთ შვილებო
გფარავდეთ წმინდა სამება.



საიტერესოა აკადემიკოს **ნიკო ბერძენიშვილის** მოგონება ივანე ფარეშუხუცესზე: ,,ბატონი ივა ჩემი სოფლელი სახალხო გმირი და დიდი ხელოვანი იყო.მისი მსგავსი პიროვნება ჩემს სოფელში არც ჩემს დაბადებამდე ყოფილა და არც შემდეგ.

იყო ტვეთა სყიდვის საშინელი სოციალური სენის წინააღმდეგ თავდაუზოგავი მებრძოლი (რაზმის ხელმძღვანელი) და დიდებული ხელოვანიც. ის ჩემს დაბადებამდე 6 წლით ადრე გარდაიცვალა (1884წ.) სულ სხვა გახლდათ მამაჩემი ალექსანდრე ბერძენიშვილი(1850-1890), რომელიც არა მარტო მოესწრო მის სიბერეს,არამედ ახლოსაც იყო მასთან და მოყვრული კავშირითაც იყო დაკავშირებული.... ფარეშთუხუცესის გარდაცვალებისას ალექსანდრე ბერძენიშვილს, როგორც მოყვარეს შეწირულებას ამის შესაბამისი გამოუჩენია,რაც კარგად ჩანს მის საოჯახო არქივში დაცული ერთი დოკუმენტით,რომელიც ჩემმა ასპირანტმა იური სიხარულიძემ გამაცნო,რასაც მადლიერებით ავღნიშნავ კიდეც.ივა სიხარულიძე მარტოოდენ სახალხო გმირი არ ყოფილა, ის სასიმღერო სკოლის დამაარსებელიცაა, ყველა ამ მხრითაც თვალსაჩინოა მისი ღვაწლი არა მარტო ჩვენი სოფლის (გოგოლესუბანი),არამედ მთელი ზემო გურიის ცხოვრებაში''.(ზაზა სი-ხარულიძე ,, სახალხო გმირი ივანე ფარეშთუხუცესი'' 2018.გვ.26-28)

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების
მთავარი მცველი

დედასავით დამაკლდები და მომენატრები...



თაობები ურთიერთშორის დღესაც სვამენ შეკითხვებს — ვინ გასწავლიდა ქართულს?

— მარგალიტა, ანა, შუშანა, ფეფო... — პასუხობენ ერთმანეთს ამაყად.

მე, ჟუჟუნა მასწავლებელო, არავის შეგადარებდი, რადგან თქვენ იყავით ქართული ენისა და ლიტერატურის შეუდარებელი მესარძიკვლე...

ყველაფერი ასე დაიწყო: თავისუფალი თემის შემოთავაზება გიყვარდათ. ალბათ, მიიჩნევდით, რომ ასეთი მეთოდით ,,სასურველ თევზს'' უფრო დაიჭერდით. თემა დავწერე, თქვენ წაიკითხეთ და მკითხეთ — ვინმე დაგეხმარა? დედაჩემი დაიბარეთ და უთხარით, რომ ჩემზე იზრუნებდით...

იზრუნე და მერე როგორ! იმ დღის შემდეგ, როგორც დიდი ინგლისელი ისტორიკოსი ვილიამ რობერტსონი იტყოდა, — ,,ჩემთვის სიცოცხლე ულიტერატურად სიკვდილია''...

თქვენი წყალობით, ჟუჟუნა მასწავლებელო, ქართული ენა და ლიტერატურა ჩემში შემოვიდა არა როგორც საგანი, არა როგორც მეცნიერება, არამედ როგორც ღმერთი.

ჩავთვალე, რომ იმ გრძნობებს, განცდებს, აღმაფრენას, განცვიფრებას, რასაც ზოგადად ლიტერატურა ტოვებს ადამიანში, თავისუფალი კალმის საშუალებით უფრო გამოვხატავდი, ვიდრე სხვა პროფესიით და თეატრალური ინსტიტუტის შემდეგ დავამთავრე საზოგადოებრივი ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

თქვენს კვალს კი ღირსეულად გაჰყვა თქვენი ქალიშვილი ოლიკო მუჯირი.

ჟუჟუნა გობრონიძის სულიერებას საოცრად შეერწყა მისი ფიზიკური მშვენიერება...

ლამაზი, უძირო თვალები, მიმზიდველი ხორბლისფერი სახე, სწორი ნაკვთები, სადად, ელეგანტურად შემოსილი, ფრთხილი ნაბიჯებით მოსიარულე, ზედმიწევნით დახვეწილი მეტყველება, ხმა — ნაზი, ენა კი — მუდამ ტკბილად მოუბარი...

25 ივნისს ეს არაჩვეულებრივი ადამიანი უკანასკნელ გზაზე გაიცილეს ოზურგეთის საზოგადოებამ, ქალაქის ხელმძღვანელობამ, აღზრდილთა თაობამ, ახლობლებმა, ნათესავებმა. მისმა ქალიშვილმა მანანამ ჭირისუფლის სკამი დამითმო და მითხრა — აქ დაჯექი, შენ ეს სკამი გეკუთვნის, შენ ეს დაიმსახურე! — ვითომ?

შენს ამაგს ვინ გადაიხდის ჟუჟუნა მასწავლებელო!.. ისევ გაბრიელ ბერი თუ მანუგეშებს: — ,,ასეთ ამაგს მხოლოდ მუდმივი მადლიერებით გადაიხდი''...

დედასავით დამაკლდები და მომენატრები...

ოლიკო კობალავა-ჩხაიძე.

თ.ხვედელიძის VI მემორიალურ რეგიონალურ საჭადრაკო ტურნირზე

ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დამთავრდა თორნიკე ხვედელიძის VI მემორიალური ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც სხვადასხვა თაობის გურიის რეგიონის (ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები) 28 მოჭადრაკე ღებულობდა მონაწილეობას. ტურნირს არ აკლდა გამოცდილი და ტიტულოვანი მოჭადრაკეები, მ.შ. უახლოესი წლების გურიის ჩემპიონები და პრიზიორები, სხვადასხვა ასაკის წარმატებული ახალგაზრდა მოჭადრაკეები. ტურნირს, რომელიც შვეიცარული სისტემით, შვიდ ტურად ჩატარდა, მრავალი ჭადრაკის მოყვარული ადევნებდა თვალს. გასაკვირი არაა, რომ ჭადრაკის მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღება იმ დაფებისკენ იყო მიმართული, სადაც პატარებს გამოცდილ მეტოქეებთან უწევდა ორთაბძოლა. ტურნირში მონაწილე ახალგაზრდებმა მართლაც ტოლი არ დაუდეს უფროსი თაობის მოჭადრაკეებს და კიდევ ერთხელ დამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ მომავალში დიდი ჭადრაკი ითამაშონ და წარმატებებსაც მიაღწიონ. ეს რომ ასეა შეჯირების საბოლაო შედეგებშიც ჩანს, სადაც პირველ ხუთეულში 12 წლამდე ასაკის ორი ახალგაზრდაა, მათ შორის საჭადრაკო წრეებში უკვე კარგად ცნობილი 10 წლის **თენგიზ თოიძე,** რომელმაც ოსტატობის კანდიდატ **ელგუჯა ურუშაძესთან** ერთად 5,5-5,5 ქულა დააგროვა და საპრიზო სამეულში შევიდა. პირველი ადგილი კი ლანჩხუთელმა ოსტატობის კანდიდატმა **ტარიელ ხუხუნაიშვილმა** 6,5 ქულით მოიპოვა, რომელმაც ბოლო ტურში პირველი ადგილისათვის მებრძოლ ე. ურუშაძესთან გამარჯვების მომტანი ყაიმი დაფიქსირა. 28 მონაწილ-თაგან 50% -იანი ზღვარი 13 მოჭადრაკემ გადალახა, რომელთა შორის ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა I. **ტარიელ ხუხუნაიშვილი**-6,5, II-III **ელგუჯა ურუშაძე და თენგიზ თოიძე** 5,5-5,5,IV-V. **გიორგი გოგოლაური** და **ავთანდილ ჯანაშია** -5,0-5.0. VI-VII.**ლუკა ღლონტი** და **მიხეილ აფხაზავა** 4,5-4,5. VIII-XIII. **გივი სიამაშვილი, ნუგზარ გვარჯალაძე, ვლადიმერ ქარჩავა, ლევან კომახიძე, ადამ ხუხუნაიშვილი და თენგიზ სტურუა**—4,0-4,0 ქულა.

ტურნირი,რომელიც გურიის ჭადრაკის ფედერაციისა და ოზურგეთის სპორტულ-გამჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა, ხალხმრავალ ვითარებაში დაიხურა. წარმატებული მოჭადრაკეები სპეციალური დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოდა. როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა **ზურაბ ანდღულაძემ** აღნიშნა ამ ტურნირმა ტრადიციული სახე მიიღო და უპირველესად იმითაა საინტერესო, რომ მასში ყველა თაობის წარმატებული მოჭადრაკე ღებულობს მონაწილეობას. მართლაც ტურნირში ყველაზე პატარა მონაწილე 7 წლის და ყველაზე უფროსი 7 9

გვ-6

თ.ხვედელიძის VI მემორიალურ რეგიონალურ საჭადრაკო ტურნირზე

წლის ცდიდა ძალებს. მანვე მოკლედ შეეხო წლის პირველ ნახევარში გამართულ საჭადრაკო ღონისძიებებზე და მასში მონაწილე გურიის წარმომადგენლების შედეგებზე, იმედი გამოთქვა, რომ 10 წლის ტიტულოვანი თენგიზ თოიძე, რომელიც ქ. მინსკში მსოფლიო პირველობაზე მიიღებს მონაწილეობას, კვლავაც გაახარებს გულშემატკივრებს. აღნიშნა. რომ საჭადრაკო კალენდრით წლის ბოლომდე დარჩენილია მნიშვნელოვანი ღონისძიებები, სადაც ჩვენი მოჭადრაკეების საკმაო წარმომადგენლობით იქნებიან ჩართული, მ.შ. ფოთის და ბათუმის საერთაშორისო ტურნირები, საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის 12 ტური (სტუმრად და სახლში), მუნიციპალური, რეგიონალური და რესპუბლიკური ჩემპიონატები და სხვა. ზურაბ ანდღულაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ცენტრალური ბიბლიოთეკის კოლექტივს და შესაბამისი სიგელი გადასცა ქ-ნ ლიკა ბაქანიძეს ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში გაწეული მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის.

მხიარულმა გერმანელმა უბრალოდ ნაგვის შეგროვებით სამ დღეში 9 ათასი ევრო გამოიმუშავა

მან ბოთლები მუსიკალური ფესტივალის შემდეგ ჩააბარა

ქალაქ დუისბურგის 37 წლის მცხოვრებმა ჩემ იილმაზმა ფულის გამომუშავების ორიგინალურ საშუალებას მიაგნო. თავის დედასთან ერთად,ის წმენდს მუსიკალური ფესტივალის მოედანს და კრებს პლასტმასისა და მინის ბოთლებს, რომლებსაც ტოვებენ დამსვენებლები.

შეგროვებულ ტარას აბარებს უახლოეს სუპერმარკეტს: 8 ცენტად - მინის ბოთლს და 25 ცენტად - პლასტმასისას.

გერმანელის სიტყვებით, ამ გზით ის წელიწადის განმავლობაში 23 ათასამდე ევროს გამოიმუშავებს. ამასწინათ გამართული მუსიკალური ფესტივალის **Rock am Ring**-ის მოედნის დასუფთავებამ კი მას 9 ათასი ევრო მოუტანა. მუსიკალურ ფესტივალს დაახლოებით 35 ათასი ადამიანი ესწრებოდა.

რა თქმა უნდა, ასეთი სოლიდური გამომუშავებისას იილმაზი იძულებულია რეგულარულად გადაიხადოს მაღალი გადასახადი.

განცხადებები

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება ყველაზე იაფად და ხარისხიანად
ტელ: 598 00 53 53

იყიდება სათბურის 72 კვ. მ. ფართის მეტალის მილებისაგან შედგენილი კარკასი. ფასი შეთანხმებით. დაგვიკავშირდით: (593) 38 29 00.

სკანვორდი



№ 26-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – ნონა გაფრინდაშვილი; ციტრუსის სახეობა – ფორთოხალი; ხვეწნა – აჯა; ერთჯერადი სამარშრუტო გზა – რეისი; ... მღვიმელი – შიო; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში – ნინოშვილი; მდინარე რუსეთში – დონი; ჯუმათის თემში შემავალი სოფელი – შუშანდარი; ქართველი ნოველისტი – ინანიშვილი; აუღებელი მოწოდება ჩოგბურთში – ეისი; გულის შეტევა – სტენოკარდია; ლექსის ფორმა – შაირი; ტონალობა – ვოკალი; ინგლისის დედაქალაქი – ლონდონი; რაჭიდან დაძრული მდინარე – რიონი; განთიადი – აისი; ქალის სახელი – ოქსანა; სამთო კურორტი საქართველოში – გუდაური; თხილის მავნებელი – ფაროსანა; სამაჩაბლო ყოფილი გუბერნატორი –ქარელი; გრამატიკული კავშირი – და; მეოთხე ასობგერა – დ; ხერხემლის ნაწილი – მალი; მე-3 პირის ნაცვალსახელი – იგი; სპირტიანი სასმელი – რომი; მტერი – დუშმანი; რიცხვი – ორი; დიახ – კი; ბანი – აივანი; დოკუმენტების შესანახი – ფაილი; ყველაზე გონიერი არსება – ადამიანი; დოლგორუკის სახელი – იური; თმის საღებავი – ინა.

დიდი დანაკლისი

ზურაბ ძნელაძის ხსოვნას



82 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ჩაის მრეწველობის დამსახურებული სპეციალისტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ზურაბ ძნელაძე.**

ზურაბ ძნელაძე დაიბადა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. საჩხეურში. 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტიტუტის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ანასეულში, ყოფილ საკავშირო ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1963-1968 წლებში ზურაბ ძნელაძემ გაიარა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურის სრული კურსი და 1969 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1969-1980 წლებში იგი აგრძელებს მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას უფროსი მეცნიერი თანამშრომლის პოზიციაზე; 1981 წელს არჩეულ იქნა ახლადშექმნილი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის, ახალი სახის პროდუქციის განყოფილების გამგედ, რომელსაც მან 30 წელი უხელმძღვანელა. ამავე პერიოდში, კერძოდ, 1992-2008 წლებში, სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, ზურაბ ძნელაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა, თანამოზრეებთან ერთად ახლადშექმნილ, ოზურგეთის ბუნებათსარგებლობის სასწავლო ინსტიტუტში, პროფესორის და ტექნოლოგიის ფაკულტეტის დეკანის პოზიციებზე, 1991 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მნიშვნელოვანია ზურაბ ძნელ-აძის წვლილი საქართველოს ჩაის ინდუსტრიის განვითარების საქმეში, კერძოდ, კომპლექსური მცირენარჩენიანი ტექნოლოგიების კვლევის და შემუშავების მიმართულებით, რომელთა ერთმა ნაწილმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრობლემა - „ჩაის თხევადი კონცენტრატების და და გამამხნევებელი სასმელების ტექნოლოგიის კვლევა, შემუშავება და სამრეწველო ათვისება“, რო-მელის შედეგების მიხედვით ზურაბ ძნელაძეს, ავტორთა ჯგუფთან ერთად, საქართველოს მთავრობის 1982 წლის 23 თებერვლის №123 დადგენილებით, საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა მეცნიერების და ტექნიკის დარგში.

ზურაბ ძნელაძე იყო 180-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 3 მონოგრაფიის და 70-მდე გამოგონების და პატენტის ავტო-რი. მრავალწლიანი სამეცნიერო კვლევების შედეგებს მან თავი მოუყრა და განაზოგდა მონოგრაფიაში - „ჩაის ახალი პროდუქტების ბიოქიმია-ტექნოლოგია“, რომ-ელიც 2009 წელს გამოიცა.

ძნელია ზურაბ ძნელაძეზე წარსულში ის-აუბრო, იგი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ სამუშაოებს. უკანასკნელ წლებში მისი კვლევის ობიექტს ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები და მაგარი ალკოჰოლური სასმელები წარმოადგენდა. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით მრავალმა ასპირანტმა და დოქტორანტმა დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი. წლებში გან-მავლობაში იგი იყო ქართ-ველოს სუბტრ-ოპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის სადისერტაციო საბჭოს აქტიური წევრი.

წავიდა ჩვენგან და ზეციურ საქართველოს შეუერთდა თავის საქმეზე, ოჯახსა და ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

მშვიდობით მეგობარო!

მეგობრები და კოლეგები

სოსო გობრონიძის ხსოვნას



კიდევ ერთი მამულიშვილი დააკლდა საქართველოს — სამშობლოზე შეყვარებული და მისი თავისუფლებისათვის მებრძოლი. მოულოდნელად გარდაიცვალა **იოსებ (სოსო) გობრონიძე.**

იგი ძმებში ნაბოლარა იყო. უფროსი ძმები ოთარი (გეოლოგი, ცნობილი მწერალი) და ომარი (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთ-ერთი დირექტორი), 1956 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენების მონაწილე იყვნენ.

—პატარა ვიყავი, 8 წლის, მაგრამ კარგად მახსოვს, რუსის ჯარმა რომ ცეცხლი გახსნა, ყველანი გარბოდნენ. მე ძმებს შორის ვიყავი და „ვერის ბაღიდან“ ვცდილობდით სროლის ადგილს გავრიდებოდით. ვიღაც ჩვენს წინ ტყვია მოხდა და წაიქცა. სისხლი რომ არ დამენახა, ოთარმა თვალებზე ხელი ამაფარა. სასწაულად გადავრჩით“—იგონებდა იგი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. მამისეულ (მამა რაჟდენი ლიხაურელი იყო) მხარეში ჩამოვიდა და ოზურგეთის რაიონული პოლიციის საგამომძიებლო განყოფილების უფროსად დაიწყო მუშაობა. თანამდებობებზე შემდეგაც იყო გურიის სამხარეო პოლიციაში, ქ. თბილისში... წლების მანძილზე მუშაობდა ადვოკატად.

ლამაზი ოჯახი... მეუღლე,-შესანიშნავი ქალბატონი, ქეთინო რუსიეშვილი, შვილები დათო და ლაშა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ოზურგეთში დამკვიდრდნენ. სოფელ ლიხაურში ააგეს სახლი. სოსო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი იყო — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული (ედპ) პარტიის წევრი. აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, იგი, სამშობლოს დამცველთა რიგებს შეუერთდა, გაგრის ცნობილი ოპერაციის მონაწილე იყო.

საინტერესოა მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ნინო თოიძის სახელობის საზოგადოების გაზეთ „ლეხოურში“ იბეჭდებოდა.

*„ყველა ქართველმა უნდა იცოდეს თუ რა სურს მას, რა გზას დაადგეს, აირჩიოს, როგორ იცხოვროს შემდგომში. ქართველობა მეტად საპატიოა და სახიფათოც. სახიფათოა იმიტომ, რომ საქართველო „კრწანისთან“ დგას და განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის ძალებს იკრებს. ამიტომ ერთი ფიცით უნდა შევიკრათ. ამ ფიცის შინაარსი კი ასეთია: „თუ საქართველოს განგების ნებით, მაინც და მაინც ჩვენი თაობის ხელში უწერია სიკვდილი, ქართველების სახსენებელი ჩვენთან ერთად, რომ არ გაქრეს, ისე უნდა დავიხოცოთ, თავად ამ სიკვდილში ვპოვოთ უკვდავება.“ ღმერთმა ნუ მოგვასწროს საქართველოს სიკვდილს, ერთი კი ცხადია, უკან დახევის არავითარი უფლება არ გვაქვს..“*წერდა იგი. („ლეხოური“, №1, 9 აპრილი, 1990 წ.).

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ახლობლები

ზაურ და შალვა გაბრიჩიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნანა და გოჩა ძნელაძეებს მამის, ბატონ **ზურაბ ძნელაძის** გარდაცვალების გამო.

უახლოესი ნათესავები თანაუგრძნობენ ქეთევან რუსიეშვილს, დათო, ლაშა გობრონიძეებს მეუღლისა და მამის **იოსებ(სოსო) რაჟდენის ძე გობრონიძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ანტირუსული მოძრაობა გურიასა და აჭარაში

(XIX დასასრული-XX დასაწყისი)

დასასრული, დასწყისი გაზეთი „ალიონი“ №26

შორის იყვნენ: ბენიამინ ჩხიკვიშვილი (ეს პიროვნება 1905 წელს გურიის სახალხო რესპუბლიკას ედგა სათავეში), ნესტორ ერქომაიშვილი, სიმონ ღლონტი, სერგო სურგულაძე, მოსე ტულუში, პარმენ თოთიბაძე, ალექსანდე იმედაიშვილი, რაჟდენ ხომერიკი, გიორგი მამულაიშვილი, კირილე ლომაძე.

1908 წლის 18 ივნისს ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოკრუგის გენერალ გუბერნატორი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს აცნობებდა, რომ მღვდელი ლუკა ხუნდაძე მუსლიმ მოსახლეობაში ეწევა პოლიტიკურ აგიტაციას, აჭარლებს მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისკენ. 1909 წლის 29 მაისს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, პოლკოვნიკი რომანოვსკი გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოს ლეონიდეს სთხოვს სოფელ აჭყეის ეკლესიის მღვდელი თევდორე პაპანდოპულო გადაიყვანოს სხვაგან, რადგან იგი რუსეთის ხელისუფლებისთვის არასასურველი პიროვნება იყო.

1908 წლის 20 მაისს, იუსტიცის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი, თბილისის სასამართლო პალატის პროკურორს აცნობებდა გურიის შეირაღებული ავჯანყების მონაწილეთა, ბათუმიდან ოდესაში გ?სასამართლებლად გადაგზავნის შესახებ. გურიის ავჯანყებულთა ოდესაში გადაგზავნის უსაფრთხოების თავიდან აცილების მიზნით რუსეთის ხელისუფლებამ გამოჰყო შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები „დონეცი", „პრუტი", „კრონშტადი", ადმირალ დიკოვის ხელმძღვანელობით. გურიის 12 მსჯავრდებულთა შორის იყვნენ ერთი თავადი, ორი სასულიერო წოდების მქონე პირი და დანარჩენი გლეხები. მათ

ყოველი წლის 17 ოქტომბერს ქართულ ეკლესიებს, მისი უდიდებულესობის, რუსეთის იმპერატორის და სამეფო ოჯახის სადიდებლად უნდა გადაეხადათ პარაკლისი, რათა როგორც აღნიშნული იყო მმართვაში კეთილსახიერებითა და მოწყალებითა თვისითა გარდამოიხილოს უფალმა ღმერთმან ჩვენმან უკეთილმ-სახურესსა რუსეთის იმპერატორისა ჩვენსა ზედა, მეუღლესა მისსა, დედასა მისსა ზედა, მემკვიდრესა მისსა და სრულიად სამეფოსა სახლსა ზედა და უბრძანოს ანგელოზთა თვისთა, რათა დაიცვან ისინი ყოველსა გზასა ზედა და მარადის დაიფარონ, განარიდონ და იხსნან ისინი ყოველთა ჭირთა და ბოროტებისაგან.

რუსეთის სინოდი ავალებდა ქართული ეკლესიის მღვდელმთავრებს ლოცვა-დიდებას რუსთა მხედრობისათვის, ხოლო ლოცვის ბოლოს უნდა ეთქვათ მრავალჟამიერი. ქართველი მღვდელ-მთავრები ლოცვას ამთავრებდნენ სიტყვებით: „ჩვენზედა მფლობელი ხელმწიფე იმპერატორისა, მეუღლისა მისისა, დედისა მისისა, მემკვიდრისა მისისა და სრულიად სამეფო სახლისათვის".

ერთმორწმუნე რუსეთთან სიახლოვეს უარყოფითთან ერთად ზოგიერთ შემთხვევაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უზრუნველყოფდა ქართული ეკლესიის დაცვას ყოველგვარი სექტანტებისაგან.

1891 წლის 18 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა მისიონერთა მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო სექტანტებთან ბრძოლის გეგმა. ყრილობამ სექტანტობა აღიარა როგორც ქრისტიანული სახელმწიფოებისათვის საშიში მოვლენა. რუსეთის სინოდი მისდამი დაქვემდებარებულ ეპარქიებს ავალებდა სექტანტური ორგანიზაციების მუშაობის აღკვეთას. გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი გრიგორი ბათუმის ოლქის ეკლესიების მმართველს ალექსანდრე რალცევიჩს ცირკულარით ატყობინებდა, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის 1893 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნებადართული იყო ყოველწლიურად, მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის დღეს, იმპერიის ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში შეეგროვებინათ თანხა პალესტინის საზოგადოების სასარგებლოდ. სამღდელოებისგან შემოწირული თანხა უნაწილდებოდათ ობლებსა და ქვრივებს.

ამრიგად, ზემოდ მოტანილი სარქივო მასალა ნათლად წარმოაჩენს XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ ოცწლედში გურიასა და აჭარაში რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, კულტურულ-ინფორმაციული ექსპანსიის არსს, რომელსაც ვერ ურიგდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და აწარმოებდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ განმანთავისუფლებელ ომს.

ნინო ჯაველიძე
მერაბ მეგრელიშვილი

„პეპი გრძელი წინდა“ – საპრემიერო ჩვენება ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში

ვერ ვიხსენებ, ქალაქ ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკში ამდენი ხალხი ერთად როდის ვნახე, ალბათ, 20-30 წლის, შესაძლებელია, უფრო მეტი ხნის წინათ. არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ 5 ივლისს აქ საკმაოდ მასშტაბური, მხიარული ზეიმი შედგა, რომლის მონაწილენი სამივე თაობის ოზურგეთელები შეიქნენ.

ბათუმელმა რეჟისორმა რევაზ ბაინახაშვილმა ასტრიდ ლინგრენის ნაწარმოების მიხედვით „პეპი გრძე-ლი წინდას“ მეტად საინტერესო და განსხვავებული დადგმა განახორციელა, რომლის სცენიური ვერსია დალი თედორაძეს ეკუთვნის.

პარკის ამფითეატრის სცენაზე ბავშვებისა და უფროსების საყვარელი გმირები პეპი გრძელიწინდა, ტომი და ანიკა გაცოცხლდნენ და ლინგრენის საოცარი სამყაროდან მაყურებელს არაერთი საინტერესო ეპიზოდი შესთავაზეს. განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა სპექტაკლის მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნაწილი.

ამ სპექტაკლშიც ოზურგეთის თეატრის მსახიობებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი მაღალი კლასი. რატომღაც მგონია, რომ ამ პრემიერის შემდეგ ოზურგეთელი თინეიჯერები, ჩაცმულობითა და მანერებით ამ დღის მთავარ გმირს ანი გოდერძიშვილს მიბაძავენ.

პრემიერაში მონაწილეობდნენ: მსახიობები კობა ახალაძე, ანი გოდერძიშვილი, გიორგი დოლიძე, ირაკლი ვადაჭკორია, თეა კეჭაყმაძე, თამარ მდინარაძე, ვახტანგ ჩხარტიშვილი, გიორგი ჩავლეშვილი; თეატრის სტუდიელები – მარიამ გუჯაბიძე, შორენა სიხარულიძე

დამდგმელი რეჟისორი – რევაზ ბაინახაშვილი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; კომპოზიტორი – მინდია მხითარიშვილი; მხატვრები – თენგიზ დავითაძე, ირინა გურგენიძე; რეჟისორის ასისტენტი – ირაკლი ვადაჭკორია; ქორეოგრაფი – მარიკა ქვეითაია.

სამხატვრო ხელმძღვანელი – ვასო ჩიგოგიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კ. მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი.

როგორც თეატრის დირექტორმა ზაზა ჯინჭარაძემ თქვა, კულტურისა და დასვენების პარკის ამფითეატრის სცენაზე ოზურგეთელი მაყურებელი წლეულს კიდევ რამდენიმე სპექტაკლს იხილავს.

თემურ მარშანიშვილი

გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორული ფესტივალი გაიხსნა

7 ივლისს, გიორგი სალუქვაძის სახელობის ფოლკლორის მე-X საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი გაიხსნა. ჩოხატაურის კულტურის სახლში გამართულ კონკურს-ფესტივალში უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და ესტონეთის ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლები, ასევე საქართველოს რეგიონების ქორეოგრაფიული ანსამბლები მონაწილეობდნენ. ფოლკლორული ფესტივალი სოფელ ცხემლისხიდში გაგრძელდა, სადაც გიორგი სალუქვაძის სახელობის სახლ-მუზეუმში სტუმართა საზეიმო მიღება და კონცერტი გაიმართა.

8 ივლისს, ჩოხატაურის კულტურის სახლში საიუბილეო კონცერტი გაიმართა.

ფესტივალი დღეს საზეიმო აღლუმითა და გალა-კონცერტით დასრულდება.

გიორგი სალუქვაძის სახელობის საერთაშორისო ფოლკლორული კონკურს - ფესტივალის ორგანიზატორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, „არტ-გურია", ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

9 ივლისი	10 ივლისი	11 ივლისი	12 ივლისი	13 ივლისი	14 ივლისი	15 ივლისი
მზე, ღრუბელი +15+25	მზე, +16+26	მზე, ღრუბელი +17+28	მცირე წვიმა +15+20	მზე, ღრუბელი +16+22	მცირე წვიმა +16+21	მცირე წვიმა +15+22
სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი